



5) հազնեց

Երևան -

7.00

Անօսման

1. Առ դուշտա -
- 2 Յա լուսացնելիք
3. Խջողեն անձնագիր պահպան
4. Ինչեւս 1-5000
5. Ցըլես Եվյուն Եղիսաբէթին
6. Յասիկայան Զահենիկ Տիգրան
7. Գրւես - ՏՆ. Անդրեաս Բագրեմոնին
8. Հանգոս Կիյանուն աղջուն
9. Կանաչավառ ըստ Կիշուրինա -
10. Մայուսիստ Շնորհը յօվելու

7.00

Übz p 163

6-361300

zum Abzug



ଶର୍ମିଳା

3. დაიხლი.

პოლენატიული მოძრაობა

გ ე ლ გ ი ა შ ი

თარგმანი

ა. ჯ—შვილისა.



ტფილისი

ალექტონმბეჭდავი მ. ი. ხელაძისა, პასკევიჩის ქ. სახ, № 3.
1906

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 марта 1906 г.

პოლკერატიული მოძრაობა ბელგიაში.

ბელგიაში ძალიან ბევრი სხვა-და-სხვა გვარი ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა, შედარებით ძალიან მოკლე ხანში, ისეთი დიდი მნიშვნელობა, რანაირიც კონკერაციებმა მოიპოვეს. დღითი-დღე ეს ფორმა ორგანიზაციისა უფრო ძლიერს მორალურ ზედ-გავლენას ახდენს მშრომელ ხალხზე და უფრო მეტს თანაგრძნობასა პოულობს. ეს კი ხდება იმიტომ, რომ ვერც ერთს სხვა ფორმას, მუშათა კავშირია იყი თუ ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, ვერ შეუძლიან იმისთანა დიდი და თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს მუშას, რანაირიც კონკერაციებს მოაქვს; ამასთანავე ეს ფორმა ორგანიზაციისა მარტო ოჯახის უფროსისთვის კი არ არის სასარგებლო, არამედ მთელის ოჯახისთვისაც, რომელსაც კონკერატიული მოქმედება ახალს ცხოვრებაში ითრევს.

როდესაც მუშა ამ ორგანიზაციის მწევრად ეწერება, ღრმად დარწმუნებულია, რომ ამით მარტო თავისთვის კი არ მოაქვს სარგებლობა, არამედ ასოციაციის (ამხანაგების) დანარჩენ წევრებისათვისაც.

თუმცა თავდაპირველად მუშა თავის საკუთარ, პირად ინტერესს უფრო მაღლა აყენებს, მაგრამ დროთა მიმღინარეობასთან ერთად, როდესაც კონკერაციაში მუშაობა თავის ზნეობრივ გავლენას იქონიებს, მუშასაც შეხედულება ეცვლება და ეგოისტურ გრძნობებთან ერთად ალტრუისტული გრძნობებიც ეღვიძება.

ბელგიაში, რომლის ზომასაც $2.945.589$ ჰექტარი *) შეადგენს და მცხოვრებთა რიცხვი კი, შე-

*) ჰექტარი 2197 რთს კუთხედ საჭენს უდრის (ორ დღიურზე ცოტა ნაკლებია).

დარებით ამ ზომასთან, ძალიან დიდია (ერთს კუთხედ კილომეტრზე *) 245 სული მოდის), კონკერატიულმა მოძრაობამ ფეხი ძალიან მოიკიდა.

კონკერატიული ამხანაგობანი სხვა-და-სხვანაირ ფორმებად ჩამოყალიბდება ხოლმე. ქალაქებს, და მსხვილ სამრეწველო ადგილებში განსაკუთრებით მომხმარებითი ამხანაგობანი ვითარდება. საწარმოვთ კონკერატიული, შედარებით სხვაგვარ კონკერატიებთან, უფრო ძნელად ვითარდება. ისეთს ადგილებში, სადაც სასოფლო მეურნეობაა განვითარებული, საკრედიტო ამხანაგობანიც არსდება, ამ უკანასკნელ ხანებში კი ისეთი კონკერატიებიც დაიბადა, რომლის მიზანიც არის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება და გაყიდვა.

ყველაზე შესანიშნავ და ძველ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს გენტის „წინ“. შემდეგ—ბელგიის ეხლანდელი საუკეთესო კონკერატია—„სახალხო სახლი“ (ბრიუსელშია). დანარჩენები, როგორიცაა, მაგ., „პროგრესი“, ლიეჟის „სახალხო საქმე“, ანტვერპენის „მუშა“ და სხვა, თუმცა ძალიან განვითარდნენ, მაგრამ წევრთა რაოდენობით კი პირველ ორს კონკერატიას მეტოქეობას ვერ უწევენ.

დასაწყისი ამ კონკერატიებისა მეტად საცოდავი იყო. და თუ, ამისდა მიუხედავად, მათი განვითარება უმაღლეს წერტილადე მივიღა, მაღლობლები მხოლოდ საქმის მწარმოებლებისა უნდა ვიყოთ.

მუშათა კონკერატიულმა ამხანაგობამ „სახალხო სახლმა“, ომელიც ეხლა წელიწადში 5^{1/2}, მილიონს ატრიალებს, თავისი მოქმედება პირველად, 1882 წ., ბნელსა და ნოტიო სარდაფში დაიწყო; ამხანაგობის თანხას მაშინ მხოლოდ შვიდასი ფრანკი შეადგენდა. არა უკეთეს მდგომარეობაში იყო შეორე ამხანაგობა „წინ“, რომლის ძირითად თან-

*) კილომეტრი თითქმის ერთს ვერსს უდრის.

ზასაც მოქმედების დაწყების დროს, 1872 წ., ოც-
ლა-ათი ფრანგი შეადგენდა. ორივე ამხანაგობა ნელ-
ნელა ვითარდებოდა.

პირველად კოოპერაცია „წინ“-ის საქმე კარ-
გად ვერ მიღიოდა; იგი ერთს წერტილზე იყო
გაყინული და მოქმედების გაფართოვება ვერას-
გზით ვერ მოეხერხებინა. საქმის მწარმოებელთა
შორის უთანხმოება დაიბადა, 1851 წელს 150 კა-
ცი გამოვიდა ამ ამხანაგობიდან და თავისი საკუთა-
რი კავშირი დაარსა. კოოპერაციამ პირველად
მოქმედება პურის გამოცხობით დაიწყო და დღესაც
ეს საქმე მის მოქმედების დედა-ძარღვს შეადგენს.
ჯერ ერთ ფეხს ახურებდნენ, მერე ორს და ამ გვა-
რად საქმე იქამდის მივიდა, რომ კოოპერაციები
იძულებულნი გახდნენ ამ ძლიერ ორგანიზაციის აკვა-
ნისთვის—ბნელი სარდაფისთვის თავი გაენებებინათ
და შესაფერისი, უფრო დიდი, სადგომი მოეძებნათ.

ამ ამხანაგობამ უბრალო ფურნე კი არ გახსნა,
არამედ მთელი ქარხანა, სადაც პურის ცხობის
დროს გაუმჯობესებულ ტეხნიკით სარგებლობდნენ
და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ჰიგიე-
ნის მოხმავნილებანი სავსებით დაკმაყოფილებული-
ყო; შრომა იმ პირთა, რომლებიც ამ ორგანიზაციი-
აში მონაწილეობას იღებდნენ, ისე იყო მოწყობი-
ლი, რომ ყველას შეეძლო ესარგებლა იმ გაუმ-
ჯობესებითა და ცვლილებებით, რომლებიც პურის
წარმოებაში იქმნებოდა შეტანილი.

მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდა ეს
ამხანაგობა; მატერიალურ საზრდოს გარდა, მან
მოინდომა სულიერი საზრდოც მიეწოდებინა თავის
წევრებისთვის; ამ მიზნის განსახორციელებლად მან
დიდ-ძალი ფული დახარჯა და 1884 წელს უზარ-
მაზარი დარბაზი და თეატრიც კი შეიძინა.

რამდენიმე წნის შემდეგ პურის ქარხანასთან
კახსნეს მაღაზია, სადაც ტანისამოსი, საცვლები
და წვრილმანი საქონელი იყიდებოდა. რაღგანაც

საქმის მწარმოებლები ჯერ ისევ გამოუცდელები იყვნენ და მყიდველთა გემოვნებასაც არ იცნობდნენ, თავდაპირველად ამ მაღაზიის საქმეც ვერ მიღიოდა კარგად, მაგრამ თანდათან საქმე გამობრუნდა და ეს მაღაზიაც მტკიცე ნიადაგზე დადგა დღეს ეს მთელ ქალაქშია განთქმული და საუკეთესო მაღაზიადაც ითვლება.

შემდეგ აფთიაქიც გახსნეს; აფთიაქი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს განსაკუთრებით იმისთანა ორგანიზაციებისთვის, რომლის საძირკველსაც სოლიდარობის პრინციპი შეადგენს.

ეხლა, 22 წლის შემდეგ, როდესაც ფეხები ისე დაძველდა, რომ მათი ხმარება ვეღარ შეიძლება, როდესაც გაუმჯობესებულმა ტეხნიკამ შრომა გაადვილა და უფრო ნაყოფიერი გახადა, და როდესაც ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ძალიან გაიზარდა,—ეხლა აპირებენ ეს საქმე ისე მოაწყო, რომ კვირაში ორასი ათასი პურის გამოცხობა შესაძლებელი გახდეს.

ამასთანავე ამხანაგების წევრთა რიცხვი ისე ძალიან გაიზარდა, რომ კოოპერაციები იძულებულნი გახდნენ საღომი კიდევ უფრო გაეფართოვებინათ. ქალაქის არც ერთი დარბაზი არც გამოდგა. იმ ზომისა, რომ ასოციაციის ყველა წევრები დაეტია. ბოლოს, გადასწყვიტეს დღესასწაულების გასამართად შეეძინათ ქალაქის უდიდესი დარბაზი, რომელიც 2,000 სულზე მეტს იტევს.

1902 წ. გააღდეს სრულიად ახალი სადგომი „ჩვენი სახლი“, რომელიც მთელი ორგანიზაციის სულიერ ცხოვრების ცენტრი უნდა ყოფილიყო, რადგანაც გენტის მუშათა დევიზია — „ცოდნაშია ჩვენი ძალა“. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ცხოვრების ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც ცოდნით არის აღჭურვილი და განვითარებულ კაცის სახელის ტარება თამამად შეუძლიან. ამიტომ ამ დარბაზში, როგორც საერ-

თოდ მთელს ორგანიზაციაში, ჯეროვანი ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკას, რომლის წიგნთა რიცხვიც ათათას ტოშს აღემატება. მუშათა სხვა ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგ., კავშირები, ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებანი, ან თვით-განვითარების წრეები, თავიანთი მოქმედება უმეტეს შემთხვევაში ამ შენობაში გამოაქვთ ხოლმე. მესიგარეთა ამხანაგობანი, დურგლები, ნავთ—სადგურის მუშები, კალატოზები,—ერთის სიტყვით ყველა ხელოსნები აქ იყრიან თავს. საყურადღებოა, რომ თვით ეს შენობაც კალატოზების კოპერაციამ ააშენა.

საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი სტამბაც, სადაც ათასობით სასარგებლო წიგნაკები იბეჭდება და მერე იქიდან მთელს ბელგიას ეფინება.

დასამტკიცებლად იმისა, თუ რა გვარის სისწრაფით ვითარდებოდა კომპერაციის „წინ“-ის მოქმედება, ჩვენ პურის წარმოების თანდათანობით ზრდის ცხრილს მოვიყვანთ.

წელიწადები:	1 კვირ. დამზადებულა:
1881 იანვარში	1,057 პური.
1881 დეკემბერში	4,000 "
1882	8,300 "
1883	12,500 "
1884	15,000 "
1885	17,000 "
1890	50,500 "
1895	76,700 "
1898	98,000 "
1902	100,000 "

ურთიერ დამხმარებელი საზოგადოება „წინ“ ბელგიის უკიდურეს და საუკეთესო კომპერაციად ითვლება. მისი მიზანია, თავის წევრებს, ავადმყოფობის დროს, საეჭიმო დამხმარება აღმოუჩინოს ხოლმე; ამისათვის თვითონეული წევრი კვირაში სულ

5 სანტიმს (2 კაპ.) საწევრო ფულს იხდის. ამის გარდა, ამხანაგობასთან არსებობს კასსა, რომლის მიზანიც არის, მატერიალური დახმარება აღმოსაჩინოს ასო-ციაციის ისეთს წევრებს, რომელთაც შრომა ვეღარ ჰყეუძლიანთ; ამხანაგობას აქვს, აგრეთვე, განსაკუთ-რებული თანხა, რომელიც წევრთა სიცოცხლის დაზღვევას ხმარდება. წინააღმდეგ ბელგიაში მომ-ქმედ სხვა კოოპერაციებისა, ეს ამხანაგობა თა-ვის წევრებად კაცებთან ერთად ქალებსაც და ბავშვებსაც კი იღებს. ყველას, განურჩევლად სქე-სისა და წლოვანობისა, ერთნაირი უფლება აქვს ამხანაგობის მოგებით ისარგებლოს. თუმცა წევრი კვირაში მხოლოდ რამდენიმე სანტიმს იხდის, ბაგ-რამ, ამის დამიუხედავად, ავადმყოფობის დროს, წამლების გარდა, ფულად პირველ ექვსი თვის განმა-ვლობაში დღეში 2,60 ფრანკს (9 გ. კაპ.) იღებს, შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში კი — 1,25 ფრანკს (4 გ. კაპ.); თუ, ვინიცობაა, კოოპერაციის წევრი გარდაიცვალა, ჭირხუფლალთ, ან ნათესავებს 25 ფრანკი (9 გ. 50 კ.) ეძლევათ.

წამლობაში ჩვეულებრივად 11 საკუთარი ექი-მი და შვიდი სპეციალისტი იღებს ხოლმე მონაწი-ლეობას. ოპერაციებისთვის საზოგადოებას შვენიე-რი სადოსტაქტო დარბაზიცა აქვს., დაარსების დღი-დან ამხანაგობამ წამლობასა და თავის წევრების სი-ცოცხლის დაზღვევაზე უკვე 1,600,500 ფრანკი (610,000 მ.) დახარჯა.

რადგანაც ამ კოოპერაციის არ უნდოდა, რომ მისი წევრების ადამიანური ღირსება შელახულიყო და შრომის უნარს მოკლებული წევრები გლახაკო-ბის გზას არ დასდგომოდნენ, მათთვის საპენსიო კა-საც კი დაარსა. ყველას, ვინც კი ოცის წლის განმავ-ლობაში ამ ამხანაგობაში მუშაობდა, უფლება ეძ-ლევა, თავისთვის ყოველ-წლიური დახმარება მოი-თხოვოს. თუ ოჯახის უფროსი მოკვდება, ცოლს ნება ეძლევა, ქმრისაგან მოპოვებულ უფლებებით

სავსებით ისარგებლოს. ამ საზოგადოების მოქმედება, როგორც ზევითაცა ვსოქვით, განსაკუთრებით იმითი არის საყურადღებო, რომ თავის წევრებს შარტო მატერიალურ დახმარებას კი არ აძლევს, არამედ ზნეობრივსა და გონებრივ საზრდოსაც ანიჭებს; ეს კოოპერაცია კი რომ არა ყოფილიყო, მის წევრთა დიდი უმეტესობა, ეჭვს გარეშეა, ამ სულიერს საზრდოს სავსებით მოკლებული იქმნებოდა.

ბრიუსელის „სახალხო სახლი“ თავის უფროს ქმას არაფრით არ ჩამოუვარდება, წევრთა სიმრავლით კი სჯაბნის კიდეც. თავდაპირველად, 1882 წლიდან 1886 წლამდე, ამ კოოპერაციის საქმეც ვერ მიღიოდა კარგად, შემდეგ კი საქმე კარგად დატორიალდა: წინად თუ კვირაში 527 პურს ამზადებდნენ, შემდეგში 5 ათას პურის მზადება დაიწყეს. 1891 წელს წარმოება ისე ძალიან გაიზარდა, რომ კვირაში ასი ათას პურს აცხობდნენ ხოლმე. ამ ხანად კოოპერაციას მანუფაქტურულ, კოლონიალურ და სხვა-და-სხვა გვარ საქონელის მაღაზიებიცა აქვს. საზოგადოებას ორი მაღაზია აქვს პურისა: ერთი მაღაზია ქალაქის ზევითა ნაწილშია, მეორე კი — ქვეითა ნაწილში. კოოპერაცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, პროვინციაშიაც გადაიტანის თავისი მოქმედება და ამ მიზნის მისაღწევად პატარა ქალაქებში თავის განყოფილებებსა ხსნის.

1899 წ. „სახალხო სახლმა“ გახსნა თავისი ახალი სადგომი, რომელიც ქალაქის საუკეთესო და უდიდეს შენობად ითვლება. ამ შენობას, რომელიც ქალაქის შუა-გულში იმყოფება, 1.700 ოთხ-კუთხედი მეტრი (მეტრი ერთი ადლია) უჭირავს. ქვეითა სართულში უზარმაზარი დარბაზები, სხვა-და-სხვა მაღაზიები და კანტორებია მოთავსებული. ზევითა სართულში კი, რომელიც ხუროთ-მოძღვარ ვიქტორ გორგას-მიერ არის აშენებული, მშვენიერი თეატრია მოთავსებული. თავის წევრთა შორის

სასარგებლო ცოდნის გასავრცელებლად ეს ძლიერი ორგანიზაცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს. 1902 წელს ამხანაგობის მოქმედება განვითარების უმაღლეს წერტილამდე მივიდა: კვირაში 230.000 პურს აცხობდა, თუმცა ამ დროს იქ საშინელი სამრეწველო კრიზისი მძინარებდა. ამხანაგობას აზრადა აქვს ახლომომავალში ახალი ფურნე გააღოს; არსებული ფურნეები გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს.

საზოგადოების უძრავი ქონება, სხვა-და-სხვა მასალა და მაშინები 1902 წელს 2.205,419 ფრანკად იყო დაფასებული. საზოგადოებაში 350 კაცზე მეტია მომუშავე, წევრთა რიცხვი კი 20 ათას ოჯახს აღემატება, ე. ი. ოჯახში საშუალოდ რომ ოთხ-ოთხი სული ვიანგარიშოთ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ამ საზოგადოებით სარგებლობენ, 80 ათას სულზე მეტს შეადგენს.

ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებანი კი ისე არ არის განვითარებული, როგორც გენტში; ამის უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქალაქში ძალიან ბევრი დამზღვევი საზოგადოებაა. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც გენტში ურთიერთ დამზღვევი ამხანაგობა მოქმედობს; ამ ამხანაგობის წევრნი ვალდებულნი არიან თვეში ერთი ფრანკი შეიტანონ საზოგადო კასაში, სამაგიეროდ, ავადმყოფობის დროს, დღეში 1,50 ფრანკა ეძლევათ; იმ წევრთ კი, რომელნიც თვეში 2 ფრანკს საწევრო გადასახადს იხდიან, დღეში 3 ფრანკი ეძლევათ ხოლმე. ექიმი და წამლობა ხომ, რასაკვირველია, ყველა წევრებისთვის უსასყიდლოა. ამ ამხანაგების წევრთა რიცხვიც საკვირველის სისწრაფით იზრდება. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი ნათლად ამტკიცებს იმ სარგებლობას, რომელიც ამ ამხანაგობას მოაქვს თავის წევრებისთვის.

1897 ₣.	1898 ₣.	1899 ₣.	1900 ₣.	1901 ₣.
Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	13,987.30	16,696.92	12,850.50	11,829.00
Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	9,971.40	29,126.87	29,713.37	37,524.17
Հայոց բարեկարգության և Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	21,692.83	15,032.50	22,387.77	28,505.72
Հայոց բարեկարգության և Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	4,431.21	7,827.65	12,940.63	13,887.04
Հայոց բարեկարգության և Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	5,625.40	14,364.72	21,814.18	34,623.63
Հայոց բարեկարգության և Հայոց բարեկարգության համար պահանջված պատճենագիր օհարչակներ:	125,653.18	190,622.08	250,134.53	300,579.96
				886,989.75
	184,361.32	273,670.74	349,840.98	426,948.52
				1,231,821.56

ამ ციფრებიდან დღესავით ნათელი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კონპერაციებს მშრო-
მელ ხალხისთვის ძალიან დიდი სარგებლობა მოაქვს.
მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ საზოგადოებას
მუშა ხალხისთვის ოთხის წლის განმავლობაში ერთ
მილიონ ორას ათას ფრანკზე მეტი მიუცია.

მაგრამ ამ მშენებელ სურათიდან ერთი შავი
წერტილიც გამოსჩანს. თუ საჭირო პურს კონპე-
რატორები თავის ასოციაციის მაღაზიებიდან ყიდუ-
ლობდნენ, სამაგიეროდ, ხშირად იმისთანა მოვლე-
ნასაც შეხვდებით, რომ სხვა საქონელს სხვა მაღა-
ზიებიდან ყიდულობდენ ხოლმე.

საშუალო რიცხვით თვითოვეული მუშა ნახე-
ვარს წელიწადში ხარჯავს 117,05 ფრანკს, რომე-
ლიც ამნაირად შეიძლება განაწილდეს:

4,25 ფრანკი იხარჯება,

7,55 " " ნახშირზე,

9,20 " " ხორცზე,

10,75 " " ტანისამოსზე,

15,55 " " რძეზე, ერბოზე და სხვა,

69,75 " " პურზე.

აქედან კი ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვა-
ნოთ, რომ ასოციაციის მაღაზიებში მხოლოდ სამი
ათასი ოჯახი ვაჭრობს, დანარჩენი 17 ათასა კი სხვა
მაღაზიებში. დღეს ამისთანა მდგომარეობის შესაცვ-
ლელად ენერგიული პროპაგანდა მიდის. ყოველ
ლონისძიებას ხმარობენ, კონპერატორებს დაუმტკი-
ცონ, რომ საჭირო საქონელი უსათუოდ თავიანთ
მაღაზიებში უნდა იყიდონ, თუ სურთ გააძლიერონ

როგორც თავიანთი საკუთარი ძალა, ისე ძალა იმ
ორგანიზაციისა, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

„სახალხო სახლი“ დღეს წლიურად $5\frac{1}{2}$ მი-
ლიონზე მეტს ატრიალებს; ამასთანავე ეს რიცხვი
ყოველ წლივ სულ იზრდება. ბელგიაში მო-
ქმედი დანარჩენი კოოპერაციებიც ამ ორ კო-
ოპერაციის მიხედვით არიან მოწყობილნი. ისინი
ყოველს ლონისძიებას ხმარობენ თავიანთ უფროს
ძმებს მიჰბაძონ და საქმე მათსავით ნაყოფიერად და-
აყენონ.

თუ ამ მოკლე ხანში კოოპერატიული მოძრა-
ობა ასე ძალიან განვითარდა, უნდა მოველოდეთ,
რომ შემდეგში უფრო ძალიან განვითარდება და
თავის მოქმედებას უფრო გააფართოვებს. ქვემოდ
მოყვანილი ცხრილი კოოპერაციათა თანდათანო-
ბითი ზრდას გვიჩვენებს.

1879	წლიდ.	1889	წლამდე იყო	191	ამხანაგ.
1890	წელს	.	.	44	"
1891	"	.	.	53	"
1892	"	.	.	42	"
1893	"	.	.	58	"
1894	"	.	.	72	"
1895	"	.	.	94	"
1896	"	.	.	179	"
1897	"	.	.	319	"
1898	"	.	.	268	"
1899	"	.	.	190	"
1900	"	.	.	251	"
1901	"	.	.	220	"
1902	"	.	.	183	"

ამ რიგად, 25 წლის განმავლობაში 2,057 კოოპერატიული საზოგადოება დაარსდა. ამათგან ორიათასი საზოგადოება დღემდის არსებობს, 50 კი უკვე დაიშალა.

რადგანაც სტატისტიკური ცნობები ძალიან ცოტაა, ამიტომ თვალ-საჩინოდ ძნელდება გამორჩევა, რა გვარ კატეგორიებად იყოფა ეს კოოპერაციები. ამისდა მიუხედავად, დანამდვილებით შეგვიძლიან ვსოდეთ, რომ საწარმოვთ კოოპერაციები, შედარებით სხვა-გვარ კოოპერაციებთან, ძალიან მცირედ არის განვითარებული. ამათგან ყველაზე უფრო საყურადღებო ფეხ-საცმელების, პაპიროსების, შლიაპებისა და ეტლების ქარხნებშია. ამისთანა კოოპერაციების დაარსების მიზეზად უმეტეს შემთხვევაში მუშებსა და კაპიტალისტების შორის ატებილი ბრძოლა გახდება ხოლმე.

ეხლა სოფელსაც გადავავლოთ თვალი და ვნაზოთ, კოოპერატიულ მოძრაობის საქმე იქ როგორდა არის. სოფელში კოოპერაციები ისე ვერ განვითარდა, როგორც ქალაქში. ამის უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ კოოპერაციების საქმეს სოფელში ხელი მოჰკიდეს კონსერვატორებმა რომელთაც არა სურდათ, რომ ახალი აზრები ქალაქიდან სოფლებშიაც გავრცელებულიყო. მაგრამ ეს კოოპერაციები ნამდვილ კოოპერაციებს მხოლოდ სახელით თუ ჰგავს, თორემ შინაარსით ძალიან განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისაგან. ამისთანა კოოპერაციების (განსაკუთრებით საკრედიტო ამხანაგობათა) დამაარსებელნი მხოლოდ პოლიტიკურის მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და, აბა, რა გასაკვირველია, რომ მათ მშრომელ გლეხობას არა-

ვითარი სარგებლობა არ მოუტანეს? სულ სხვანაირად მიღის საქმე იმ ამხანაგობისა, რომლის მიზანსაც თესლის ყიდვა და მამულის განაყოფიერება აქვს შიზნად. ამ ამხანაგობას 52 ათას წევრზე მეტი ჰყავს და მშრომელ გლეხობას დიდს დახმარებასაც უწევს. კოოპერატიული მოძრაობა სოფელში, ეჭვს გარეშეა, უფრო ძალიან განვითარდებოდა, გლეხობას რომ სავსებით ჰქონდეს შეგნებული მისი უტყუარი სარგებლობა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მას ჯერ ვერ შეუგნია ის, რაც ქალაქის მუშამ უკვე დიდი ხანია შეიგნო, და რასაც იგი ასე გულ შოდგინეთ ემსახურება.

თესლის მყიდველ საზოგადოების ოპერაციებს რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ 1900 წ.

თესლის ყიდვაზე დაიხარჯა . . . 6,091,378 ფ.

მიწის გასანაყოფიერებელ

ნივთიერებაზე 4,442,466 ფ.

საქონლის საკვებზე 181,466 ფ.

სამეურნეო იარაღისა და სხვა

და სხვა გვარ საქონელის (ნახშირი,
პანუფაკტურული საქონელი და სხვა)

შეძენაზე. 246,375 ფ.

ძალიან დიდი გავლენა აქვს სოფლის ცხოვრებაზე რძის ნაწარმოების კოოპერაციას, რომელიც ეხლა ერბოს ძველ, პრიმიტიულ საშუალებებით კი აღარ ამზადებს, არამედ ორთქლის მანქანებით. გლეხი-კაცი უკვე აღარ ფიქრობს იმაზე, რომ დამზადებული საქონელი როგორმე გაასაღოს: ამის როლს კოოპერაცია კისრულობს. გლეხმა მხოლოდ ყოველ დღე რძე უნდა მიიტანოს ამხანაგობაში, რომელიც ყოველ კვირა კუთვნილ ფულს მისცემს

ხოლმე. ერთად ერთი დიდი ნაკლულოვანება ამ კონპერაციებისა იმაში მდგომარეობს, რომ უკაპი-ტალოთ მათი მკვიდრს ნიაღაგზე დაყენება ყოვლად შეუძლებელია. ამისდა მიუხედავად, ბელგიაში არ-სებობს 400 ამგვარი კონპერაცია, რომლების წევრთა რიცხვიც 45 ათას სულს აღემატება.

კიდევ ბევრი სხვანაირი კონპერაციები არსებობს ბელგიაში, მაგრამ მათი ფიზიონომიის გამო-სარკვევად, ჯერ-ჯერობით, ისინიც კმარა, რომლებ-ზედაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით. სხვა კონპე-რაციები, ცოტად თუ ბევრად, ზევით აღნუსხულ კონპერაციებსა ჰგავს.